AW1-II ანალიტიკური წერა

სამუშაოდ გეძლევათ 70 წთ.

გაითვალისწინეთ: ამ ფურცლებზე შესრულებული ნაწერები არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

მწვანეთა ორგანიზაციამ, ქალაქში მიმდინარე უკანონო მშენებლობათა გაპროტესტების მიზნით, ცენტრალურ პარკში აქცია მოაწყო. ხალხის მისაზიდად ორგანიზატორებმა აქციაზე პროფესიონალი მუსიკოსებისაგან შემდგარი პოპულარული როკ-ჯგუფი მიიწვიეს. აქციის მონაწილეთა 70%-ს ახალგაზრდები წარმოადგენდნენ; შეინიშნებოდა საშუალო ასაკის ადამიანების ნაკლებობა. აქციამაც და კონცერტმაც წარმატებით ჩაიარა, თუმცა უამინდობის გამო აქცია ხანმოკლე იყო და მონაწილეები ადრე დაიშალნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ მწვანეთა ორგანიზაციამ პარკის ადმინისტრაციისაგან მიიღო წერილი, რომელშიც უკმაყოფილება იყო გამოთქმული პარკის დანაგვიანების გამო.

ამ მიზეზით, ასევე იმის გამოც, რომ აქციას დააკლდა მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფი – საშუალო ასაკის ადამიანები, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, სამომავლოდ მსგავსი აქცია როკ-კონცერტის გარეშე მოაწყონ.

კრიტიკულად შეაფასეთ მწვანეთა ორგანიზაციის გადაწყვეტილება: გააანალიზეთ, რამდენად საკმარისია ტექსტში მოცემული ინფორმაცია ამ გადაწყვეტილების შესაფასებლად, მოიყვანეთ არგუმენტები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

შავი სამუშაოსათვის

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

უმაღლესი სასწავლებლის ტექნიკური სპეციალობების სასწავლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ისეთ საგნებს, რომლებიც ახალგაზდების თვალსაწიერის გაფართოებასა და ზოგად განათლებას შეუწყობს ხელს, მაგ. კულტურის ისტორიას, ფილოსოფიას, ლიტერატურას და მისთ.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; ახსენით თქვენი პოზიცია, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

შავი სამუშაოსათვის